

მშვენიერი პატრახი № 3

იუმორისტ.
ეურნალი

როგორ გამოევა საქმეს თავი

ეს სურათი მოთავსებული იყო „სახალხო ფურცლის“ სახალხო დამატებაში, მაგრამ, როგორც სახალხოელთს სჩვევია საქმეს თავი ვერ გამოაბეს.



ქ. გორის საზოგადოებამ აღვიღათ ახსნა „სახალხო ფურცლის“ აღევგორიული სურათი და შით საქმეს თავი გამოაბა.

ნინოზა.

დღეს ნინოზა.

ჯერ მარტო აქ, თბილისში, 29 ნინოს ვიცნობ.

ნება მიბოძეთ ამ 29 ნინოს შესახებ ცოტადენი სტატისტიკური ცნობები მოგაწოდოთ.

ერთი პირობით კი: არამც და არამც ბ. თევდორე ლლონტმა ჩემი რიცხვები თავის ფელეტონებისათვის არ ისარგებლოს, თორემ საქართველოში დიდი უზედურება დატრიალდება:

29 ნინოზე 29 ოთხგვრიანი ფელეტონი დაწერება ამ სათაურით: „ნინო და ცედერალიზმი“, ხოლო ამ პოეზიას, ექვი არ არის, საზარელი შედეგები მოჰყვება:

ჯერ ერთი, რომ ქალაღის ისეთი კრიზისი დადგება, რომ თავის დახწევა ყოვლად შეუძლებელი შეიქმნება: მართლა, ქალაღი შაქარი ხომ არ არის, ბაქოს ჯაბარი გაჯანენა და ორ დღეში ორი ათასი ვაგანი ჩამოგარბენინოს.

შემდეგ მელნისა და სტამბის საღებავის კრიზისი...

მაგრამ ამას თავა დავენებთ და თვით ავტორის გონებრივი ენერჯია ვიანგარიშოთ:

ბ. თედორე ლლონტის გონებრივი ენერჯია ანუ შემოქმედებითი ძალა, ჩენის ანგარიშით (მეოცე საუკუნის;—ამ ტიხნის ხანის ენით რომა ვსტავთ), უდრის 40 ცხენის ძალას. ესოდენი ძალა რომ სასეგებით აამუშავოს, ზემოხსენებული 29 ფელეტონის დაწერას 20 ღღეს მაინც მოუწდება. ეხლა თვით ბ. თევდორემ გამოთვალოს, რამდენი ცხენის ძალა უნდა დაეხარჯოს მას ამ ოცი დღის მუშაობაში.

ეს კიდევ არაფერი. ყველაზე მნიშვნელოვანი და აუნაზღაურებელი ზარალი სხვაგან უნდა ეეძიოთ:

თუ ბ. „Наръ“-ის სტატისტიკურ ცნობას, „Кавк. Сл.“-ს წლიურ მიმოხილვაში რომ გამოაქვეყნა „სახალხო ფურცელის“ შესახებ ხუთათ გავყოფთ (ინედია ბ. ცენზორი ამის ნებას მოგვეცემს სიმარჯღსთან რაოდენათმე დასახლოვებლათ), მაშინ ამ განხეთის შკითხელათა რიცხვი 26000 უნდა ვიანგარიშოთ. წარმოვიღვინოთ, რომ ამ ოცი ათას შკითხველში მუხუთეფი ბოლომდე წაიკითხავს ბ. თევდორეს ფელეტონებს. მაშინ „სახალხო ფურცელს“ დაეხოცება 4000 შკითხველი და დარჩება

16000. ვიანგარიშოთ, რომ ამ „ნაშთის“ (ახალ საარითმეტრიკო ტრამინოლოგიან მათარხოლოზ) ნახეიარი ათოღღე ფელეტონს მაინც წაიკითხავს. ამისდა გვართ „სახალხო“ დარჩება 8000 შკითხველი, რადგან ნახეიარს უშკეღლათ ტენის სირბიღღე დაეშართება, ასე რომ აღარც „სახალხო“ შკითხელათ გამოღღება. ბოლოს, ვთქვათ, დანარჩენების მეოთხედმა მუხუთეფი ფელეტონზე თავი დაანება კითხვას, რადგან აშკარათ იგრძნო შავი მელანქოღღის ურყუიარი ნიშნები. მაშინ „სახალხო“ დარჩება შხოლოდ 6000 შედარებით საღი შკითხველი (ვაშბობ, შედარებით მეთქი, რადგან იგვიქობ, რომ ერთ-ორ ფელეტონს ყეღათ მათიანი გადადავლებს თაღს), ასე რომ „Кавк. Сл.“-ს იმპოზიღღეი კლაღისთვის იძულებული ახდებდა თავის სტატისტიკაში ოღწავი შესწორება შეიქაროს...

მაგრამ, დასწეეღოს ღმერთმა! მეცნიერული ძიების საღერღღელი იმეშალა და სხვანი კი დამავიწყდა!

მაშ, ნება მიბოძეთ, იმ ჩემ 29 ნაცნობ ნინოს შესახებ მეორე რამ სტატისტიკური ცნობები გავიზიაროთ.

| ეროვნება | | | გარეგნობა | | | ოჯახ. მღღ. | | | წლოვანობა | | |
|----------|--------|------|-----------|--------|-------|------------|----------|------|-----------|-------|------------|
| ჭარბ. | სომეხი | რუსი | ღამაზი | რიგანი | გონჯი | ბაღღობა | გაბოგილო | ჭერი | 1-15 წ. | 15-25 | 25 წ. მეტ. |
| 19 | 4 | 6 | 1 | 7 | 21 | 17 | 10 | 2 | 5 | 9 | 9 |

რაგორც ხეღავთ, ჩემი ცხრიღღის ორ უშკონასკენელ უჯრაში კითხვითი ნიშნები ზის. უბორჩიღღესათ გთხოვთ, ამ გარემოებას ნუ მიაწერთ ჩემს უძღღურებას, რაგორც სტატისტიკოსისას, და ნუ იღვიქობთ, რომ მე ყოველივე მეცნიერული (და არა მეცნიერულიც) საშვალება არ მეხმაროს ამ კითხვითი ნიშნების თავიღდან ასაცილებლათ.

მაგრამ, სამწუხაროთ, ჯერ-ჯერობით მეცნიერებას ვერ უბოვი ისეთი საშვალება, რომ 15 წლისაზე გადაციღღებულ ასაკის ქაღის წლოვანობა გამოარციოს.

ეს ხომ ყვეღოსაგან ცნობიღღია, რომ, რაკი ქაღი 15 წელიწადს გადაციღღება, სამეტრიკო მოწმობა დაუკონებლიე ეყარება ხოღმე. მაშასღამე

მკვლევარი იძულებული ხდება ანკეტს, ან პირად დაკითხვას დაეყაროს. მეტ ასე მოვიქნევი, მაგრამ ის, რაც ამ საშუალებამ გამოარკვია ყოვლად დაუჯერებელი და აბსურდული რამ არის.

მეგალითად, ორი ისეთი ქალი მარწმუნებდა, 20 წლისაზე მეტის არა ვართო, რომელთაგან პირველს მეოცდამეტეჯერ ვულოცავ სახელის დღეობას, ხოლო მეორის უფროსი ვაჟი პრაზორშიცების შკოლას ათავებს ამ დღეებში.

ქეშმარიტად — «ქალი თავის წლოვანობის მეტს ვერა საიდუმლოს ვერ დამალავს»...

მაგრამ ყველაზე საყურადღებო ეროვნების უჯრები.

აქ ნათლად მტკიცდება ჩვენი ოფიციალური სტატისტიკის უზადრუკობა და ძირიან ფესვიანით ითხრება ის გამეფებული ცრუ აზრი, რომლის მიხედვით ქ. თბილისის მცხოვრებთა უმრავლესობას სომხები შეადგენენ, მათ ვითომ მისდევს — რუსები და შემდეგ ქართველები.

ჩემი ცხრილი ნათლად ამტკიცებს, რომ თითქმის 60% თბილისის მცხოვრებლებისა ქართველებია, 24% რუსები, ხოლო 16% სომხები.

მაგიერში გარეგნობის უჯრები, როგორც ხედავთ, სამწუხარო შედეგებს იძლევა:

29 ნინოში — მხოლოდ ერთი ლამაზი ნინო!

მე დარწმუნებული ვარ, ჩემი ნაცნობი ნინოების უმეტესობა ამ ჩემ გამოკვლევას წაიკითხავს და მაინც არ მეშინია სიმართლის აღიარებისა.

არ მეშინია, რადგან კარგით ვიცი ქალის ფსიხოლოგია: თითოეული იმ ოცდაცხრათგანი, რაკი ლამაზთა უჯრაში ციფრი 1-ს ღიანხავს, წამშივე შეურყვევლად გადასწყვეტს, რომ ის ერთ ლამაზი თითონ არის.

გავხარდებ კიდევ, რომ იმ უჯრაში «1» ზის და არა მეტი და იტყვის:

— ყოჩაღ, თავუნა! განა მე კი არ ვიცილოდი, რომ თავუნს ფაქიზი და უტყუარი ესთეტური გემოვნება ჰქონდაო!

ნეტარ არიან მორწმუნენი და დიდება წმინდასა გულუბრყვილობასა...!

ეხლა კმარა ლამაზაკი ყველა ნინოებზე საზოგადოთ და დროა ავიღოთ (თუ ავიყვანოთ) მხოლოდ ქართველი ნინოები კტრით.

იმ 19 ქართველ ნინოში, ცოდვა ვიტყვილი სკობია, ნამდვილი ნინო არც ერთი არაა: ყველანი ნანს და არა ნანს უწოდებენ თავის თავს.

რაც შეეხება გვარს, მხოლოდ სამი ნინას გვარს აქვს ქართული დამოლოგება, ყველაზე უფრო გვარო კი «ობა»-ზე მოლოგდება.

12 აქ 19-დან ილიას სიტყვებს «მაშულო საყვარლო, შენ როს-ლა აყვავდებო!» თარგმნის: «Имѣние дорого, когда же ты расцветешь?»

15 სტრამეტოვანი აქარლებსა და რაკველებს ერთმანეთში ურევს და დარწმუნებულია, რომ რიონი მტკვარს ერთვის ქალაქ არაგვის მიდამოებში.

ეს იმიტომ რომ ის 15 ნინო ნასწავლები არიან.

დანარჩენ ოთხს კი, თუშა სისწავლებელში არ მიუღია განათლება, მაგრამ ძალიან ეტყობათ ჩვენი ეროვნული კულტურის გავლენა.

მეგალითად, ტრამევის ვაკონში რომ სხდებიან და ცარიელ იდელებს ეძებენ, ასე მიმართავენ ხოლმე ერთმანეთს:

— ნინო, ქალო, აქ მო!

— ქა, მანდ რა მინდა? ვერა ხედვ ტერნა სხედან? ორნი სად უნდა დავეტოთ?

— ტერნა კი არა, ამბო სხედან, ქალო რას ამბობ?...!

და როცა «ამბოს» გვერდით მიუსხდებიან და ამისდა გვარათ «კვატერნას» გააკეთებენ, თუ ვინ-მე მესუთებ სცადა მათ გვერდით დაჯდობა, ცხარე პროტესტს გამოაცხადებენ:


— დავოლნა! — აფუსფუსდებიან ჩვენი ნინოები.

კმარა, — ვიტყვით ჩვენც, აქ შევწყვეტთ მეტ-ნიერთად გამოკვლევას და ჩვენს წერილს მილოცვით დაგებოლოკობთ:

— მრავალს დაესწარიო, ყველა ჩემო ნაცნობო 29 ნინო, განურჩევლათ ეროვნებისა, გარეგნობისა, ოჯახურ მდგომარეობისა და წლოვანობისა! მომილოცნია დღეობა!

განსაკუთრებით კი შენთვის, ერთად ერთო, რომელიც ლამაზთა უჯრაში ხიხარ მართათ მარტო.

თავუნა



მგელი და გლეხი

ერთ ქართველ გლეხ-კაცს,
მსუნაგმა მგელმა
(გაუმადლარმა
და სიძაგელმა!)

მოსტაცა ღორი თორმეტის დედა,
და შეუქაპა იქვე, სერხედა.

გოკები, ოხლათ დაჩენილები,
(მგლისაგან შეკმულ
ღორის შვილები)

ჭყვირილით შეხვდენ ამ ტრალედიას
და მით გაუკრთეს ძილი ტრეტიას.

გოჭთა მტირაღლითა ხმა განაგონი,
წამოხტა მყისვე
ღორის პატრონი

და დაედევნა კვალს მტაცებლისას,
იმ უსინდისო, ვერაგი მგლისას.

ყოველი კუთხე მიმოვლო საფლის...
ხეითქი ვადაღის
ჭირისა ოფლის,
მაგრამ ვერ ჰპოვა მან დანაკარგი,
თუმცა მანძილი ირბინა კარგი...

და როს გავიდა საფლისა ბოლოდ
ღორის ნაშის მაშინ
წააწყდა მხოლოდ.

მგელი კი ლაღი და გამაძლარი
ტყის პირად იყო უქვე წამდგარი.

გლეხ-კაცი გახლდათ თვითცნობიერი...
კაცი კეთილი
და ღმობიერი,
მაგრამ ამ მძიმე სანახაობამ,
სიხარბემ მგლისამ და სულხაობამ,

ის აღაშფოთა,
ის აღაღლევა,
მიბრუნდა მგლისკენ, ვითარცა ელევა,
და მიიძახა მტაცებელს, მსუნაგს:

„— შენ ვერ მიადწევ,
ძმობლო, ბუ აგს!
ყაჩაღობაში სრულ-ხელოვანი
ჭკუით ყოფილხარ მცირე-წლოვანი!
აღბათ ცოდვებმა გამოგიწია
უმათ რო სქამე
ღორის წიწია!

აიო გკოდნია კუქს როგორა სწენს...
აწ, პროფესორიკ ველარ შეგნაწენს!
მტაცებლობაში
ბიგლონიტისა
თუ ხარ ნაგეში,
გარჩევაკ გქანდეს სანოვაგეში!
მიიძახა მგელს
და გამობრუნდა...
— ნიშნის მოგებაკ ასეთი უნდა!

გშმაკი.



აკოფას წერილი ცოლთან.

(წერდა ბრძაღის ვეღაღან)

ბაროე შუშან! კაც პატივიშუ რასა იქ დაროა
გორა ხარ! პაზრავალიუ ნოვი გოდ ი ნოვი სჩა-
სტიაი ცალუიუ იზ დალოკი სტარანა ტებია, ჩემო
შუშანჯან, ვენაცვალე სულის კლიტეში. დაი ბოდ
კაენი გოდ ნოვი გოდ. თუ ჩემს ამბავს იკითხავ,
სლავა ბოლუ, პაკა ეივამ ი ხლებ კუშიმ. მართა-
ლია ბევრი უღიფიტელნი რამეები გადამხდა, მაგ-
რამ ჯანაბას ჩემი თავი, ოღონდ შენა მყვანდე კარ-
გათ ჩემო სიცოცხლის კარაბადინო, ქალაქიდან
რომ წამოვიყვიანეს პრამით კიეგში ჩამოველით. მე-
რე სრახუმ პრიკაზი მოგვივიდა პერენდი პოზიცი-
ზე უნდა წახვედეთო. ერთბაშით ელდა მეცა, მაგ-
რამ რას ვიხამდი! ავიკაი გულდა ნაბილი, ვახსენე
წმინდა მესროფის მადლი, გამოვისახე პირჯვარი
და წაველი. მივდივარ, მაგრამ გული ისეთ ნაირა-
თა სტემს, გგონებდა დროვის ცხენი შირბის ტრო-
ტროზეო. ვა, ხუმრობა ხომ არ არის, აბეზატელ-
ნი სიკვდილი მიდგა რალა წინ! რისა უნდა შამ-
შინებოდა როცა კრულვამ იარაღში ვიჯექი, მაგ-
რამ რომ მოპავონდა, შე ტულიკო, შენი ვიშრის
თვალეები, სერებრენი ზუბი, ალერსი, პროშტი...
ხომ ვახსავს ერთხელ წაზლი რომ მკარი და კრა-
ოტიდან გადამხადედე ხუმრობით. ეს ამბები რომ
შომავინდა სრახუმ საფეტქელოში დამკრა სისხლმა,
მაგრამ რას ვიხამდი წაველი წინ. რამდენიკ წინ

მივდივარ, იმდენი შიშით მუხლები მეჭრება და უკან ვზრვები. ახლა შენ მითხარაი შუშანჯან, ხუმრობა არის! სიველილი პირი დაღლია გველაშპივით და მე წინ მივდივარ რაღა რომ ხახაში ჩაუვარდ. უკან ჩამოვრჩი. მინდოდა იქვე ტყეში დაემალოლიყავი, მაგრამ თანაც შამშინდა. უტებ იმ პირ ძაღლმა მელამ ვადამირბინა წინ და შიშით კინაღამ გავთვადი! ორ ცეცხლ შუა ჩავეარდი რაღა! ამ დღეში რომ ვარ ერთიღ ვნახოთ კამანდერმა არ დაიყვირა! „ახტი სკინსინ აკოფ ტი დღე სპრიბიშსაო, შტო ტი ბიბიშსაო. ნა ქვეით უბან კენი ვსკრესენი დრაღსა გავარტა ზღეს სპრიბიშსა ი ასკაბლაიტი ტიფლისო“ თურმე ქალაქში ნამსახური ყოფილა და აშვარათ მიცნო რაღა! „იღი პეროდ ატო ია ტრემ ზადამო“ დაიყვირა. რაღს ვიზამდი წაველი წინ. მივდივარ მაგრამ ფეხებს თურქულიანი კამბეჩივით მივათრევე, შავი დამიბატარავდა. ისეთ აკურატნი დამწკი შავებს ვაკეთებ გეგონება პარიკანკაო. კამანდერმა შამამბიღღირა და მერე სრაზუმ დაიყვირა: „სტრეულიტე, რემბიტა, რუგო, პულამეტრი, ყუმბარ, ზარბაზანუ ი ვზარავიტი აკოფიო“. ვზარავიტი აკოფაო რომ გავიგონე შიშით უღვაშის ძირები გამითეთრდა. ვყვირი:—ფაში ბლიაროლია, ზარემ ნა მენე სტოლკი ყუმბარ სტრაჩიტე მეთქი, ესლი ია მიწავათ მენე ი აღინ ბული ხვტიტ მეთქი, ნო ია ეე ნე მიწავათ მეთქი. პაქალიტი მოი შუშანიკ მეთქი და დაეწყე ღრილი. კამანდერი მიყვირის: „მალჩა ტი ეშაკო“, მაგრამ მე უფრო უმატებ ყვირილს, რომ იქნება შავებრალო მეთქი და ვზარავიტი აღარ მიყენ მეთქი. თურმე კამანდერი ლემენცების კანავები ვპარება და მე რა ვიცი! აკოფიო რომ გავიგე მე ჩემი სახელი მეგონა და რა ვიკოდი თუ აკოფი კანავებს ჰქვიოდა! ამ ჩემ ყვირილზედ წამოცვიდნენ ლემენცები და დაგვერიდნენ. იმისთანა კრივი გაიპართა, რომ ქვეით უბანი დამავიწყდა. იმ გაჯავრებულ ვულზედ ვიხაკ კი დავარტყი იმ პივით ვამერილი ღიპზედ სულ კულით ქვა ვსაროლინე. ჩხუბი რომ ვათავდა კამანდერმა სამი ზახრაბუსტის მენდალი

სრაზუმ ჩამამკიდა გულზე. რომ მნახო, შუშანჯან, ტიფლისკი რემესლენი ვალია გეგონები იმდენი მკილია მენდლები. თუ ცოცხალი ჩამოველ ქალაქში შამშინ ნახე ზენი უჩისტის ვარაღოვების სერიო! აბა ახლა ჩამავღონ ზა რეშოტკაში თუ ბიჭები არიან! მართლა, შუშანჯან, შე

გავიგე, რომ შენ თურმე სდარდებოდა სტრიო. კაკ ტრემ ნი სტიდნა! ქალს... მენდლიანი გეროი ქმარი ჰყვანდეს და კიდენ ტიროდეს! რისა გეშინიან, ხომ იცი რომ მე ჰყვას არსად არ წავაგებ. შენ ხომ იცი მე მანდაც მოუსვენარი და პაკარაკი რამ ვიყავი. გასოსეს ერთხელ კატას შუალამისას თვალები რომ დეეკიტა და დაგლეჯას გვიპირებდა, ხომ ნახე როგორ მამენტალნათ დავახალე ჩემი მაუზერტკი ლვეროვის მერე ლვეროვის ნაშენის სვიდტელსტეც არა მქონდა ისე ერთბაშათ გავაგდე შუალამისას! გარადოვის რომ დავენახე კიმიბის ვადამაცილებმა ხუმრობა ხომ არ არის ურახრეშენით შუალამისას გავლება ლვეროვის! ჰო და მანდ თუ ეს ვეცაკობა ჩამიდენია, აქ რაღს ვიზამ როცა კრუგომ იარაღში ვზვიარ! მოგიკვდეს აკოფა თუ გრული სულ რაზნოცვეტნი ლენტები მონთული არ მოვიტანო. ტი ტოლკი ნი ვარუი ი ი რიჯავი მოი სერცა.

დასვიდნა მოი რისიკი საღოფი. ცალუიუ ტვოი სერებრენი ზუბი ი როზვი გუბი.

ტვოი ლუბოვნიკ მუქ აკოფ მიკირჩ ტერ-გულადიანც.

გოგია.

მ დ რ დ ღ დ

შარადის წერა როგორც სიანს ვადიქცა ახალ სენათა; ვინც წაახლებს ყველა სწერს მკითხველის მოსაცდენათა...

ღღეს მეც შემპყრო ამ სენმა ვასატანჯ-გისამწარდა და არ მომცილდა სანამღე არ შეფთხზე მე ეს შარადა.

პირველი სიტყვა, რომელიც შარადისათვის გვიჩრდება, სასახლეს ნიშნავს უფლისას (იყურთობის იმის ღიდება).

იქ უღვას ტახტი მუფფეს ვაცისკროვენ-გაბარწყინებულნი, იქიდან მართავს, განაგებს, ქვეყანას დამშვიდებულნი

ორი ასოსგან შესდგება
ეს სიტყვა ზე-ხსენებული,
მაგრამ ჩვენ გინდა პირველი
მეორე იყოს გდებული.

ებლა დეტოვით თფილისი,
პირი ვქნათ დსავლეთისკენ
(თუმცა მგზავრობას ამ დროში
წასვლა სჯობს ჯოჯოხეთისკენ).

იქ ენახავთ მხარეს დიდებულს,
განთქმულსა ძველათ გმირობით,
(ებლა კი მოტყუილებით
ყალთაბანდობით, ხრიკობით).

ამ მხარის სახელს წინიდან
მოვტაცებთ ოთხსა ასოსა
(ეგებ ვერ მიხვდით? იფიქრეთ!
ნუ წარიკვეთათ სასოსას)

მესამე სიტყვა მკითხველო
გულს შეუწუხებს მოვალეს
და მოაგონებს საბარალოს
კრედიტორს კარზე მდგომარეს.

განსაკუთრებით იგი დღეს
ძირს უთხრის სახელმწიფოსა
(რომელიც ომში ჩამბოლა,
სამხედრო ხარჯებს თთხოვეს).

თუ მიხვდით სრულათ ავიღოთ
ეს სიტყვა ორ მარცვლოვანი,
ხოლო რომ გახდეს ის ჩვენთვის
უფრო სრულ-მნიშვნელოვანი

ბოლო ასოს წინ ჩავსვავთ
ჩვენ კიდევ ერთი ანბანი
ოთხისა გამოშვატველი;
(და დასრულდება საბანი)

ახლა შეკრიბეთ ყველა ეს
შეაკოწიწეთ ფრთხილიათა,
და გადიშლება თქვენს თვალ-წინ
ტურფა ქალაქი სრულათა.

იქ, ამას წინათ, (თუ ვახსოვთ)
მოხდა საქვეყნო ყრილობა
(სად მეგობრული მსჯელობით
განკურნეს გულის ჭრილობა...)

იქ გაინასკვა ძაფები
ბალბთა კავშირის ძმობისა,

რომელიც ხალხმა ვაჰყვეს
მთხველმა შურის, მტრუბუნა...

ლონგინოუს პოდბიენტა.

სტუდენტის შობა.

გათენდა შობა დილა, ღმერთმა ბევრი გაგი-
თენოს ჩემო მკითხველო. მე ვერც კი გავიგებდი
შობის გათენებას, რომ სხვას არ მოეგონებია. ავ-
დები ჩვეულებრივ 12 საათზე, დავიბანე პირი, მი-
ვედი საჩკესთან, გადავიქორჩე თმა, უღვაშებზე
ფიქსატურა გადავისვი, და სწორეთ ამ დროს შე-
შოალა კარები ჩემში დიასახლისმა... (ეგებ კიდევ
ვაც ენახებულვებთ, სქელი რუსის ქალია) და და-
მიძახა:

— „სპრაზნიკომ გასაჰანდ სტუდენტ“—ო.

მე კი შიშმა ამიტანა. ძლივს ამოვიჩურჩულე
„სა...ა...ასიბო“ და იქვე საკმზე ჩავიკეცე. მომა-
გონდა, რომ სასადილოს „გამგეობა“ ერთი კვი-
რის წინ აცხადებდა: „შობას სასადილო დაკლე-
ტილი იქნებაო“. მე კი მისდა ეშმაკათ წინა დღეს
ერთი რუსი ძღამე ვადამეკიდა ძველი ხვირჯინი-
ვით, ისე ამირია ტვინი, რომ სრულიად ვადამა-
ვიწყდა შობაც და გამგეობის განცხადებაც და აი
ამიტომ არც კვლასი და არც პური არ მომიმა-
რავებია. დარღს სიცოცვე დაერთო. ვევეღრე დი-
სახლისი და მღლე ბუზარში ცეცხლი აბირბილდა.
ჩაუჯექი გახურებულ ფერს, მეც ავი-ლიპილი სა-
ხეზედ, ნამდვილ ვეცკაც დავეგზავსე. მაგრამ შიმ-
შილით ისე იყო მიკრული ფერდი ფერდს, რომ
თუ სული შეგებერა იქვე მოვადენდი ბრავგანს.
სხვა გზა არ იყო, თავი ოცნებას მივეცი: მომა-
გონდა სამი წლის წინათ შობა დღეს სახლში ვი-
ჯექი ჩვენებთან ერთად. მშენეიერი საცოვის სუნი
ეზოშიაც კი ვადილოდა. (სამჯერ დამამბქნარა) შემწ-
ვარ გოქს ისეთი ტრალიკული გამომეტყველება
ჰქონდა, რომ უნებღიეთ აღძრავდა თქვენში „პი-
რუტყევა მფარველო“ გრძნობას. ცხელი ღომი
და წითელი ღვინო... ნასადილევს იქვე ჩემს სა-
სიმამროსთან გადავდი, ჩემს „დღეშუას“ ოლიას,
ხელი მქალავში გაუყარე და ბალის გვერდზე გა-
ვემგზავრეთ სასეირნოთ. ყოველი კაცი ჩვენ, შე-

გნაბროდა: „ნეტავი თქვენ, ცხოვრება თქვე-
ნიაო“. ამ ფიქრებმა გული სველი ამიგსო. გა-
დასწყვიტო იხვე „სამოქალაქო უფლებების“ ზუთვა.
ხელში საათი დავიჭირე და ისე წამოვწყვი, რომ
გადაწყვიტილი დრო არ გამომპარებოდა. არ გა-
უვლია ორ წუთს, კიდევაც მიმეძინა. ვნახე მეტად
სასიამოვნო სიზმარი:

შობა დილია. ქუთაისში ჩავედი. დედა ჩემი
კარებში გამოვებება, ერთი ათჯერ გადამოკცნა,
სახლში შემოიყვანა იქ ჩემი ძმა დამხვდა. იგი კარ-
გა ხანია საპრამპორიკოთ ემზადებოდა და კიდევ
ვაც გაპრაპორნიკებულა, იმანაც გადამოკცნა, თან
თავის „დენშიკი“ მანკოშე გამაცნო.

უცებ ჩემი ამხანაგები მიშა და ვალიკო მეწ-
ვივნენ. ვაფწყვეთ სუფრა დელაჩემს მოვატანიე ცხო-
ნებული ფიანას ნაანდერძევი უზარმაზარი ყანწე-
ბი: შეუდგეთი მოლბენას. შევეჯღაღღა ღვინო თავ-
ში, რაღაც ეშმაკათ ვალიკოს ერთი გლახა ჩვეუ-
ლება აქვს: როცა შეთვრება მაშინ დავიწყებს კა-
მათს ან პოლიტიკაზე, ან ეროვნულ საკითხზე:
სწორეთ ეხლა მოაგონდა „ღრიზონში“ მოთავსე-
ბული წერილი. მიშას ბრაზი მოდიოდა და კიდევ
ვაც სთხოვა თავი დაენებებია ამ უსაფუძვლო სა-
უბრისათვის. ვალიკომ თავისი არ მოიშალა. ბო-
ლოს მიშას სისხლი ყელში მოეჭინა და ერთი
ისეთი სთხლიშა ვალიკოს რომ საბჯერ შეაბზიალა.
წამოვარდი სუფრიდან. ყანწს ხელი უშვი, მაგრამ
რამ ვი ამისანის წამოვარდნას, ღოგინიდან ისეთი
ბრაგვანი მოვადინე, ისე ღონიერად დავკარი თავი
ძირს, რომ ეხლა ნამდვილ „იმერეთის“ „უროს“
მოგავონებს იგი. ყანწის მაგივრად ჩემი საათი სულ
მტკრად მიტკვია.

რასაკვირველია ჩემი ძირს ნაბრევი თავი „სა-
მოქალაქო უფლებებისთვის“ აღარ გამოდგებოდა. გა-
ვეგზავრე ისევ დარდების გასაქარებლად ვალი-
კოსა და მიშასთან. ისინიც ჩემებრ წამოწოლილი-
ყვენ და ქერში ბუზებს თივლიდენ. მიულოცე შო-
ბა და საქმელი მოვთხოვე. ვალიკომ ხელი უჯრის-
კენ მიმითითა და თანაც წაიღო მარაგა: (ვალიკო
რაქველია) „აი აფერ არის ვაშხარა „პურუნა“,
მაგრამ პური რა საქმელია“. მე გამეხარა და მი-
შას მივაძახე: — არიქა მიშა „პურუნა“ თუ გვაქვს
შენ ერთი „ღრიზონა წყალუნა“ მოიტანე, მხო-
ლოდ ცეცხლზე კი შეთბე, და „სადილუნა“ გვექ-
ნებათქო. მართლაც ასე მოვიქეცი, და მშვენიერ
სადილს ვიახელით, ზედ ტკბილი მრავალ ეამიერი

დავაყოლეთ, თამარ მეფეც კი წაიყვანეთ მოწამე-
თას, სილამურსაც გულში ჩავსწავიყვანე შევ-
ქეფდით, ჩემო მკითხველო, რაწაქვს მისევე მე-
სამე დღეა ფეხზე ვეღარ ვდგებთ.

სტ. ს. მახვილაძე.

გ ა მ ო ც ა ნ ა

(ბათუმისათვის)

„სოღერეატელი“ „გოსტინცის“

ბათუმში კარგათ ცნობილი,
ზოგიერთ „საქებ“ საქმეში
ვარწუნებელი გამოწრთობილი.

„ოფიციატა“ ჩაგვრაში
იმას არა ჰყავს სწორია,
მასავით მოხერხებული
ბათუმში არც თუ ორია!

თვით მაღაზიას ვანაგებს,
საქმეში გამოცდილია,
მხოლოდ სასტუმროს წესრიგი
ქმაზე აქვს მინდობილია.

ოთხი თვის წინეთ ზარალი
წყლებიდან გამოწყველი
მკითხველსაც ახსოვს ამგვარის
ხალხი არ იყო ჩვეულები...

ეს რაღვი გმირიც მის მსახურთ—
მიმართავს: ჰქენით კრებო
და დადგინეთ, საწყალ ხალხს
სკირია დახმარებო.

დაზარალებულ ხალხისთვის
უნდა ვიტყვოდეთ გულით,
ერთმანეთ შორის შეკრიბეთ,
მათ სასარგებლოთ ფულით.

ამ საქმისათვის ეცადეთ
არაფინ არ სთქვა ვარიო,
გახეთში ჩაიბეჭდებო
თქვენი სახელი გვარო.

ბიჭებმაც ხელათ შეკრიბეს
სულ ას თერამეტი ქანქარი,
წყლისაგან დაზარალებულთ
აღმოუჩინეს სასარია.

და ჩაბარეს „ხაზინის“
მიიღე მიითვალეო
და სადაც ჯერ არს გავზავნე
იკისრე, დაგვავალეო.

აღმა ბიჭები შეაქო



მუშა (ღამთვრალი). ჩვენ წიინეთაც ერ...თ... ო...

ოყვდ. ლლონტი. აპა, ძლიერ სასიამოვნოა, თქვენ წინეთაც ეროვნული მიმართულებისა ყოფილხართ...

—ყოფილხართ გამოცდილიო, სამი ღლის შებდგე იქნებით გაზეთში ჩაბეჭდილიო.

„ოფიციატებს“ იმ ღლიდან მოსდით გაზეთი ქართული, და კითხულობენ,—(კითხვაში არიან ძრიელ გართული). •

ექებენ მარა ვერ ნახენ გაზეთში ჩანაწერი, შესწუხუნენ ჩენი მკითხველნი, აღშფოთდენ თქვენი მტერია.

ღაფიქრდენ: გრიგოლ, არტემი, იასონ, საშა დავითო, სთქვეს თუ რაკა გვერის მძანება სუყველა ჩენი თავითო.

გულ მოსულეგმა ხაზეინს აახლეს ორი კიცია,— კოტა ხნის შებდგე ამ აზრით დაბრუნდა დეპუტაცია:

აპა რას ცხარობთ გენაცკა, ან რაზე მოგდით გულიო,

აღას ის ფული ჯიბეში ჰქონია შენახულიო!

თქვენ კი გიბრძანათ:

—არა შეცდით არვისთან გაამზილოთო თორემ სულ ყველას დაგითხოვ, ღარჩებით უადგილოთო.

და რაკი აღას სჩვევია ფულების შეცმაკუნება, არ აწყენს ვგონებ ეშაეკო! მათრახის წატკაცუნება?

ისკანდერ.



„მოლაშქრეთა“ შეკრება.



თევდ. ლლონტი. არ გინდა რას მიყვია, ძალათ შემოვართრეც!
მუშა. მიშველეთ.

ნიკო და ბიკო.

(დასწრუთლებს)

ნიკო. გამარჯობა ბიკო!
სიით შირჩქარი?
ახალი რაიმე,
მოიცა მითხარი.
ბიკო. რატომ ვითხრი ძაო,
რათ გატყინო გული?
ხომ იცი წავიდა
ჩვენი ბოქაული?

ნიკო. უ! რას ამბობ ბიკო!
რატომ წაიყვანეს?
ბიკო. აღმატება მისცენ
და გადაიყვანეს.
ნიკო. კარგს და პატიოსანს
გაუმარჯოს ყველის
ბევრჯელს იგვაშორა
ძაო ხათაბელას.
ბიკო. ჩვენ რო გვწყინობს მესმის,
კიდევ გვმართებს მირა,
ზოგმა გოგოებმა
კრემლი რო დაღვარა,

მოხსენება ხონიდან

I

რალა იტირებდათ,
რალამ გააწწარა?

ნიკო. რყვილა მეკითხები
თუ არ ნყტა *

რომ მან ბევრი ღინჯი,
ქალი ააცეტა?
უფრო კი ის პატივს
სცემდა „პრიზის“ ქალებს
(ან ვინ გაუძღობდა
ძმალ იმის თვალებს)

ბიკო. ვაკი ეხლა, ვიცი
ყოველივეტ მჯერა
ის კი არა ვილაც
მეგრელი ვენერა,
ხშირათ იყო მისთან,
ბევრჯერც გამაშტერა.

ნიკო. ბოქაულის ძმალ,
ვენერა იგია,
ნათესავი იყო,
როგორც გამიგია,—
ესეც გაიგონა
ამ ცოდვილმა ყურბი —
ჩიბათში ჩასწვია
ერთმა აზნაურმა...

ბიკო. ამ ოხრების ამბავს
დავანებოთ თავი;
შენ ხომ იცი ნიკო
ღიმიტრას ამბავი,
„უჩიტლების“ ცემით,
რომ ინჯაყვა მკლავი?

ნიკო???

ქეტაშ.



თქვენო უფშაკუელსობაზე, მპყრობელი ჯოჯოხეთისა და მეფეთ მეფეო სრულიად საეშაკეთისა. მივიღე რა თქვენი ბრძანება შესახებ ჩემი ხონში შენს მოადგილეთ დანიშენისა, დაუყოვნებლივ გავსწიე სახელგანთქმულ დაბისაკენ; ელვისებურის სისწრაფით მივიქროდი, მიუხედავით მრავალგვარ დაბრკოლებათა; გადავლახე თავხედობა ქუთაისიდან ხონში მიმავალ მგეტლეთა, გაბედულათ გავსცურე ქუთაისის გზაზე ხონის შესავალში მღელვარე ტალახის ტბა და შევიქერე ქალაქში.

კვირა დღლა იყო. მხოლოდ ზოგიერთ სავაქროთა კარები იყო მოღებული და ისიც ქურდულად. ადგილობრივ ჩარჩ-სპეკულიანტა უმრავლესობა სავაქროთა წინ იყვნენ აქა-იქ შეგკუფულნი და გაცხარებთ ბუობდენთ თავიანთ საქმეებზე. ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა ჯგუფმა, რომელიც გასტრონომიულ მალაზის წინ იდგა. მე უჩინრად მიუახლოვი ამ ჯგუფს და იქვე სვეტს ავეტუშე. სპეკულიანტა შვაში ჩაღდგარიყო ერთი მალაღი და სარსავით წერილი სიკვდილის მზავესი არსება. ყველაზე მეტს ვე უქანსაკნელი ცხარობდა.

— მომზარებელი უმადურია, ამტკიცებდა ვე სიკვდილაძე,— იგი მალღიერი არასოდეს არ იქნება. ვაი-ვაგლახითა და გავიერებთ ვშოულობ საქონელს, რათა მათი მოთხოვნილება დაფაკმაყოფილო, სანოვავე და სხვა საქონელი არ მივიკლო, მაგრამ მათი გული მაინც ვერ მოვიგე.

— კოჩალ, რა გულკეთილი ვინმე ყოფილა მეთქი, გავიფიქრე გულში და აღმეძრა უძლიერესი სურვილი გამეგო მისი ვინობა. ფეხ აკრეფით მივედი შორი-ახლო მდგომ. ახალგაზრდასთან და შევეკითხე.

— გეტყობათ, რომ აქაური არ ბრძანებულხართ, მომიგო მან და თავიდან ფეხებამდე იმითვალიერა.

— მე ჩამოსული ვახლავართ.

— ვე ვახლავთ ადგილობრივ სპეკულიანტათა მეთაური, სანოვავისა და ყოველ გვარ საქონლის ფასების კანონმდებელი; სახელად მას ერისტო ეწოდება, გვართ კი ჰავეჰანიძეა.

უცნობ ახალგაზრდას მადლობა გადაუხადე და ისევე ბნე ჰავეჰანიძისაკენ მივაპყარ სმენა ჩემი.

— მერე რა უყოთ, — გაცხარებით განაგრძობდა ბ-ნი ერისტო, — ხომ მე სულ ერთიანთ ვავსახლად, რაც ამ ათი-ხუთმეტე წლის განმავლობაში უფარგობის საკონერლი დამიგრავდა? ვინა მე შეგხვდებოდა მომხმარებელს აუცილებლათ იყიდეთქო?... ან რათ უნდა ჩამეთვალოს ცოდვით თუ ზოგჯერ მანეთიან საქონელში სამი და ოთხი მანეთი ავიდე? ვაქრობის წესი ასეთია: ხან მეტს აიღებ, ხან ნაკლებს. არა, ბატონებო, მომხმარებელის წუწუნს მე ანგარიშს ვერ გაუწევ, მე მწამს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ჯიბის ინტერესები და მას კიდევ ერთგულათ ვეშხსახურები. დამერობა ააწუნა ამ ომის მომგონ-დამწყები; ომი რომ არ წამოაწყოდა ვასა-პარავათ ვიყავი, ახლა კი...

ამ დროს გასტრონომიულ მაღაზიიდან გამოვიდა მეორე აულაყუდა, ეგვე სიკვილის ნამდვილი „პარტრეტია“: ძვლების ჩონჩხზე დაშენებულ მაღალ წვრილ კისერზე აკოსია პაწაწიან თავი; სახეს „უმშვენებს“ ღრბათ ჩაცვნილი კატისებური პრელი თვალები.

— ეგ ვინ უნდა იყოს? ისევ შეგვიკითხე უცნობ ახალგაზრდას.

— ეგ ადგილობრივ „მამულიშვილთა“ ლიდერია; ეს გასტრონომიული მაღაზია მაგისია; სპეკულიანტობაში სხვებს არც მიაღ ჩამოუფარდებდა, მხოლოდ სხვებზე უფრო ფრთხილი და მობერტუელია; მასიკო პერლით თუ გაგგონებთ, სწორეთ ეგ გახლავთ.

— აბა წვიდეთ, დროა!.. ვადასძახა ბანმა მასიკომ აქ მდგომ ჯგუფს და მოშორებით მდგომ სხვა ჯგუფებს გასქვრიტა. იმათა ანიშნა თვალით დაძრულადვე ადგილიდან; თვითონ, ვითარცა სარდალი, თავაშვერილი გაუძღვა წინ, მას გაცეა ხონელ სპეკულიანტთა ლაშქარი.

გაღაწყვიტო უკან ვაცყოლოდი სალაშქროთ მიმავალ „მამულიშვილთა“. მიღინ, მეც შორი ახლო მივეყვები. აჰა, დიწყო სამტყრედილაში მიმავალი გზა, „სარდალმა“ მარცხნივ ეზოში ჩაუხვია, მას მიყვა თელიო ლაშქარი.

— ნეტავი აქ ვინ უნდა სტოგრობდეს, ვიკითხე ეზოს კარებთან. ვავიგე, რომ იქ ხონის საზოგადო საკრებულო ყოფილა, რომელშიაც წ. კ. ს. ადგილობრივი საზოგადოების წლიური კრება დაუნიშნავთ. მიამა, — რამეთუ ძალიან მიყვარს კრებებზე დასწრება — და შეუხვები.

კარგი ხნის ლოღინის შემდეგ კრება გაიხსნა.

გაძვერილი ხალხში, მივეკედლე, უკან უკან მივსივნი და კრებას ვაღვებდე. — იქნებ ვინმე... და ვინაზოთქო. წინ დადებულ მაგიდასთან, რომლის ირგვლივ გამგეობის წევრთ მოკვალათებია, შეგნიშნე ერთად ერთი ნაცნობი — ექიმი პოლიკარპე ჩიკვიშვილი, ისიც გამგეობის წევრი ყოფილა. იგი მრისხანების გამომხატველის სახით სათვალების ზევიდან ვაპყრებებს კრებას. უკანასკნელის გვერდით თავმჯდომარე ზის. ვეკითხე მისი ვინაობა: „მათე ბახტაძე არის — ადგილობრივი ექიმი“, მიპასუხეს. იგი კრებას ყრუ ხმით მიმართავს, აქა-იქ ენა ებმება, ლაპარაკობს არეულათ და გაუგებების ენით. გულდასმით და დაკვირვებით ვუსმინე, მაგრამ ვერაფერი ვავიგე, მეგონა უცხო ენაზე ლაპარაკობდა, ხოლო მაკვირვებდა ის, რომ აქა იქ ქართულ სიტყვებსაც გამოუჩვენდა ხოლმე. შეუღლები თარჯიმანის ძებნას. უცნობაა, რომელსაც შე ვთხოვე ქართულ ენაზე გადმოეთარგმნა ბ-ნ თავმჯდომარის ნალაპარაკები, ღმილით მოპასუხა:

— გეტყობათ თქვენ ხონური ქართული არ გცოდნიათო — და განაგრძო: „თავმჯდომარემ განმარტა, რომ წევრობა ერთმეფა იმ პირთ, რომელთაც საწევრო ფული არ შემოიტანეს საანგარიშო წლის დამლევაზე; ამ მოსაზრებით გამგეობას წევრობა სიაში არ შეუტანია ის წევრები, რომლებმაც საწევრო ფული შემოიტანეს არა საანგარიშო წლის განმავლობაში, არამედ შემდეგი წლის იანვარში, თებერვალში ან კიდევ შემდეგ“.

თავმჯდომარეს უპასუხებს ახალგაზრდა ყმაწვილი (როგორც ვაღმომცეს ივანე ჰაგუნიძეთ წოდებულთ), რომელიც წინააღმდეგს ამტკიცებს; დასამტკიცებლათ იგი კითხულობს წესდების 10 და 11 მუხლებს. მოვისმინე რა ეს მუხლები, დავრწმუნდი, რომ თავმჯდომარე და მისთან ერთად მთელი გამგეობა წესდებს არ ნაცნობა. ამ გარემოებამ ერთიანათ ამართო, ბრაზი მომგვარა და ის იყრმათ ვიყავი მემრო თქვენ მიერ ნაბოძები მათარაბი. მივეართნოდი გამგეობის ამ დაუღვევარ წევრთ დ მითთვის ზურგები ამტკიცებდია, მაგრამ დროს ვსძლე მტყარება და თავი შევკავე; თუმცა კრებაზე თანდათან ძლიერდებოდა შოთოთ.

გამგეობა თავის პოზიციანზე მაგრათ იღვია, მაზურგს უმავრებდა სპეკულიანტთაგან შემდგარ ავანგარდი ბ-ნ მ. ქელიძისა და ბ-ნ ერ. ჰაგუნიძის ხელმძღვანელობით. ოპოზიკია გაბედულად ეკვეთა მათ, მაგრამ ამათ: იერში მოიგერიტ

საკულისანტა ღრიალით და თავმჯდომარის წყალობით, რომლის პრინციპი ყოფილა მოწინააღმდეგეს პირში ბურთი ჩაზრას, დანარჩენებმა კი თუნდაც ზღაპრები, ან პოლიკარბისებური (ე.წ. ჩიკვიშვილი) აბდა-უბდა ილაპარაკოს. რიპ-რიპში და ჩოქოლოში ჩატარდა სარევიზიო კომისიის მოხსენებაც, რომელშიც ნათესაო, რომ გამგეობა მთელი წლის ვანმელობაში ერთგულ დარაჯათ სდგამებია უშოქმედობას. ამ „სამსახურისთვის“ საკულისანტა კრებამ გამგეობა დააჯილდოვა ხელახლავ არჩევით, რის შემდეგ ჩასწერეს ახალი წევრები და დაიშალენ.

ამ კრებაზე თქვენი უშემაკულებლის მოადგილის ყურადღება მიიპყრეს თავმჯდომარემ, ე.წ. მ. ხენკელმა, კრების მდივანმა კიქვიკო ქუთათელიანმა, ე.წ. ბახტაძისამ (რომელიც უშეკრივ თავთ ახლა და სახლისკენ მოპკურსლა) და მ. ქელიძემ. ველა ისენი ითვლებიან ადგილობრივ საზოგადოროლევიებათ. მე გადავწყვიდე სათითაოთ ყველას ნტრევიუ გაუკეთო და მოვახსენო თქვენს უშემაკულებლობას.

თქვენი უშემაკულებლისობის მოადგილე ხონში აბი.

დეპეშები.

ხიდისთავი. (გურია)

ვინაიდან „მარტის“ ნაწარმოებში ვერაიკნ ამოაინა კარტის თამაშის თეორია, ამ საგანზე ექტის წყაითხვა უკისრია ზოგიერთ აქაურხალ-აგულშემატკიერებს. ლექციის შინაარსი ასეა: 1) რა სარგებლობა მოაქვს კარტის თამაშს ერთოთ. 2) როგორ უნდა ჩაწყობა კარტს. 3) სარგებლობა მოაქვს ჩაწყობას. 4) როგორ უკუუბს საზოგადოება მოთამაშეებს და 5) როგორია იი გავლენა ხალხზე. ბილეთები იყიდება მ—სან, აები ჩვეულებრივია. ლექტორების ვინაობა და დიტორთა ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბიქიდანვე —ბასილეთის საზ. მამასახლისი რუონენაზე წაიკითხავს ლექციას: „სოფლის მსალტებლები და შათი შრომის ფასი“. შინაარსი: ვალდებულია თუ არა მამასახლისი თავის დრო-მიაწოდოს მისწავლებლებს ჯამეირი? 2) თუ აღებული ფულები „სხვა“ ანგარიშებში გადადა და თავის დროზე ვერ მიაწოდა, არის თუ

არა დანაშაულობა და თუა ვისი? და მ. წ. გაველენას ახდენს მასწავლებლებზე ექველავ მკირე ხელ-ფასის თავის დროზე აუღებულად. ექველავების სწავლააღზრდის (აქ ფართოთ შეიხება კითხვის) საჭეშეშე, და იქნება თუ არა შათი შრომა ინტენსიური? ლექტორის სურათი და ბიოგრაფია ცალკე იქნება გამოცხადებული.

მ—ფ—ი.

ონტოფო.—წმინდა ბარბარეს კარის ეკლესიაზე საგანთო ამბავი მოხდა. ეკლესიისათვის შენაწირავ თხს ლამით ვილაცა რეგენი შეეფეთი, მღვდელი ეგონა და ეამბორა; მავრამ... ვიი ასეთ ამბორს, თურმე საბრალო ცხოველს ცხვირი მთელად მოაქაშა. ამბობენ ეს საბრალო საქმე ვილაც მღვდელმა ჩაიღინაო, მაგრამ ეს ხმა ჩვენ საეკეთ მიგვანჩნა, ვინაიდან მღვდელი თახზე არ შეტდებოდა.

ხალხში კი ქველშოქმედების ხალისი თანთან იზრდება. იმავ ეკლესიაზე წითელი ჯვრის ყუთში იმდენი ფული ჩაუყრიბა ხალხს, რომ ყუთს ფსკერი გავარდნა. ფსკერი იპოვეს, შენაწირავი კი ვერა. ფიქრობენ საეკლესიო ბეჭედში გაცთაცო, რადგან იმავ დღიდან მ-ნი ბეჭედი საღდაც მიიმალა.

მართალია წითელი ჯვრის ყულობიდან ფული საღდაც გაცივლანვა, მაგრამ აღგლობრივი მღვდელი ევანია მინც ცნობილია როგორც სტატისტიკოსი. მან გამოიკვლია, რომ სამეგრელოში დამშეული მშოლოდ მისი ოჯახი, რომ სხვებს სამსამი წლის სარჩო ვადამალული აქეთ და ამიტომ სთხოვა მთავრობას პოლიციის დახმარებით მოუგროვონ დრამის ფული.

—ხანი.



მონსენება

დ. ონი. (რუა).

ერთხელ ვიყავ დაბა ონში, როცა სოფელი ყრილობდა, კაცსა ეძებდენ ასარჩევს ხალხი ხმა მალლა ყვიროდა.

იძახდენ: „ისევ დათიკო სადგუტატო კაცია, ხედავთ პატარა ღუქანი ღიდ მალაზიათ აქცია!“

ზოგი კი უპასუხებდა: ისემც თქვენ აგაშენაო, რადგანაც თვითონ გამიღიდრდა ღუქანი დიიმშეენაო.

ის მხოლოთ თავის საკუთარ საქმისა ირის მქნელიო, რაც უნდა იმას აკეთებს არა ყავს სიტყვის შიქმეულიო.

ღებუტატობის ხანაში ფეხი გაიდგა მაგრადო საყაყანოთ და საჩხუბრით ურჩების დასაჩაგრადო.

შევიწროვა ყანთარი, ახლოს ვერაფინ წაიდგა საყაბოს შემოსივლი ირ ვიციოთ რა გზას დაიდგა.

როცა ყანთარზე ჩაღვიდრის ცხენებს საბაღნეს ხსნიანო, დადლილმა ცხენმა რაღა ქნის მხეფი ხორცხედა სკვიანო.

ყასბებიც ჯირკვებს და ხირბებს, რომელთ სისხლ-ჭიანი სკვიანო ერთად ძეღლებთან და წიღლებთან ეზო-ჭუბებში ყრიანო,

მასზე ძაღლები ჩხუბობენ, ერთმანეთს ტყავსა ხდიანო სტოლებს და ხორცის საჩეხებს ხრავენ და ფეხით სვრიანო,

მაგრამ ხელ ახლა ბაზრობის არც გასწმენდ-გაფხუკიანო და ისევ უსუფთაოზე ხორცებს სჩეხენ და სჭიანო.

თუ რამე უთხარ გეტყვიან: „მინც კი მიირთმიანო“ არ იმას ვინდა კითხუდნამა და თუ ნიხირი რასა ქვიანო.

ესლა მიტომ ავირჩიეთ ჯანუაშვილი ატუა; ბევრს კი რამეს გვიბრღბა თუ მანაც არ მოგვტყუა.

მის თანაშემწეთ „ნიაზო“ თეთრი წვერი აქვს და ქკუა რიყებედ ქვას არა სტოვებს უროს თუ შეურჩა ყუა.

ის ძველათ ვაჭარი იყო; მაგრამ შემდეგ მიატუა, რადგან ღიდ ვაჭრებს ფართალი ნისიათ ველარ დასტყუა.

მის მეორე თანაშემწედ ბერუჩოვი დავითუა, ის არავის არ გვეოხოს შეუღენები მუნამ ყრუა უყვარს ღიდი ლაპარაკი, მთელი კრება გაყარუა.

კრიჭეშია.

გუდალუთი. გუდალუთში ცხოვრება ერთობ ჰანდრაკულია; ისევ ის იჩაგრება, ვინც რომ დაჩაგრულია.

მოუთმენლათ ველოდი: ეშმაკისგან მზვერავსა! მაგრამ არვინ გამოჩნდა ვი ამ ჩვენს წერასა.

ნუთუ ჯარი ტყვეთაი ეშმაკთ მონათესავის და შემციოდა რაზმები ჯოჯოხეთის მოთავის?

აქ მცხოვრები ბევრია მუში, „პოდრაჩიკები“ ქართველი და სომეხი ბერძენი თუ რუსები.

სულყველა „პოდრაჩიკობს“ ვი მუშის ბრალია.

ვინ არ ვინღათ არ იყოს,
 მპირთველი:
 სომეხი თუ ბერძენი,
 ფრანკუნი თუ პარიველი
 ყველა საქმეს ღებულობს,
 სიხარულით აღვსილი
 მიკიტანი, დალაქი,
 ვაჟარი თუ ვეპილი...

დაბის ღებუტატებზე
 ხალხი რალაც ყაყანებს,
 და თუ კი გამოცვლიან
 არაფერს არ იწანებს.

თითოეული ნოქარი
 თერამეტ საათს მუშაობს,
 "შეგნებული" ხალხია,
 დაღლილობას ვერა გრძნობს.

ორ ჯგუფად ვაყოფილი
 სკენის მოყვარებები,
 ახლა შეერთდნ ძლიერდა
 ერთად არ სახმარები.

სამკითხველო არა გვაქვს
 წიგნი არ გვეშოგება,
 ბერძნები თუ გარკეს *)
 ვაი რა გვეშველებს**)

ასე არის აქ საქმე
 და მართახი გვეკირია
 ღრაზე თუ მოგვაშველებთ
 გაპქრეს ვასაპირია.

მ. ხევის-პირელი.

წერილი რედაქციის მიმართ.

"შშმაკის მითრახის" მე 28 ნომერში მოთავე-
 ხებულია ღებუმა ს. აცანიდან ბ. ე-ნს ფსევდონი-
 შით, რომელშიც ბ. ე-ნს გამოყავარ უსახელო
 წერილების ავტორია და მკლავადეთ. ვინაიდან წე-
 რილი სიმართლეს მოკლებული არის, ბ. ე-ნმა
 დაუშახტრებული სახელით მოშათლა და შეუ-
 რაცხო ზეი პირიფენება. ვსთხოვ ბ. კორესპოდენ-
 ტი გამომყვეს სამედიატორო სამართალში და და-
 მიშტკიცოს უსახელო წერილების ავტორობა, მაგ-
 რამ იმ პირობით კი, რომ მტყუანმა მხარემ გადი-
 ხალის ჯარიმით ოკი მანეთი. ათი მანეთი აცანის
 სამკითხველოს სასარგებლოთ და ათი მანეთი გან-
 სკენებული კოლა ლომთათიძის სახელობაზე დაარ-

*) ყავახანას დაკვრენ
 **) წარდი აღარ გვექნება.

სებული ფონდისათვის. ვადას ვაძლევ ორ კვირი-
 სას ღლიდან ამ წერილის დაბეჭდვის დასახელოს
 თავისი მედიატორები და მე ტნტა-შტრუქტურებს და-
 ვასახელებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული
 ვიქნები მივმართო სხვა საშეველებს.

ნოე შეგლაძე

დიდიჯიხიისის ნორმალურ სასწავლებლის მასწავლებლებს.

ღიდი სიამოვნებით ვასრულებ თქვენ წინადა-
 დებას „ეშმ. მათ“ № 28.

ჩვენში უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავ-
 ლებლის გახსნის წინააღმდეგი უმთავრესათ მასწავ-
 ლებლებში ჩყვენ და ხალხშიდაც მაკადინობდენ,
 რომ განაჩენი არ დაედგინათ სერგო ივანეს ძე
 ლოღბერიძე და ილია მოსეს ძე ქუთათელაძე. შრო-
 მამ უნაყოფოთ ჩაუარათ და ხალხმა სექტემბრის
 პირველ რიცხვებში ბ. სახალხო ღირეკტორის თა-
 ნადასწრებით დაადგინა განაჩენი და ექვს ოქტომ-
 ბერს სწავლაჲ უკვე დიწყეს. აი ეს ფაქტი მქონ-
 და აღნიშნული „ეშმაკის მითრახში“ № 26 თუ
 მოისურვებთ მშთა გახლავარ დაგმტკიცოთ.

ინარი.

ფ ო ს ც ა

გ. მთიელს. გავვაგებინეთ თქვენი სახელი და
 გვარი, ხოლო შემდგომ ამისა ავგინხნათ ისიც,
 თუ რა საგანზე გსურთ წერა.

ამბაკო მღვდელაძეს. თქვენს სახალწლო
 ლექსს ასეთი კუბლტით იწყებთ:

„პატროსნების შუბით და ხმალით,
 მუხრანის ხილთან ვნახე ასულნი,
 ეზლა ფელოცებ ვითა ქვემაროზებს,
 არც მგელი აზრი ღრა ვადასულა“.

შემდგეში მაინც ერთდეთ მუხრანის ხილთან
 სიაჩულს.

სამუილს. თქვენი ლექსი „ძმური სალაში“ ასე
 იწყება:

„ოკდაბუთ ვერით დაცილებულმა,
 ხელში ავიღე, ძმაო კლამი“.

ეს რალაც სიმართლეს არა მკავს: თქვენ მტრით
 უნდა იყოთ დაცილებული.



მიიღება ხალის-გოგონარს 1916 წლისთვის

უოგელ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეუმეაკის მათრასი

ქუჩის სახეობა და სალიტერატურო მხარეს განაგებენ უშუალოდ და თავისა, ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ქუჩის ფასი 12 თვით 5 მ. † 6 თვით 3 მ. † 3 თვით 1 მ. 50 კ. † თვით 50 კ. უშუალოდ მათრასი დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, აბაჯები, შარბები, გამოცანები, ნაკვებები და სხვა.

→ ქუჩის დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе.
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.
(ქუჩის მთარბისათვის)



*) ეს აღვლილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმგვიწებს მოვადონებთ, რომ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიბნინს

...თავისთვის მისი განცხადებით...

...მეტივე აქვეყნიანები იღვწიან...



...ი. შიშინაძე.

...ქაჯაძე.

თევდ. ღლონტი. შენ ოღონდ დასწერე რამე თქვენი ქარხნიდან ჩვენი „ზვირთისთვის“...
გონორარი რამდენიც გინდა... შენი კირიმე...

მუშა. რა უნდა დავწერო, წერა არ ვიცი...

თევდორე. სულ ერთია, მერე ჩვენ გადავასწორებთ.